




შეკითხვები და
პასუხები

COVID-19-ის,
თრსულობის,
მშობიარობის და
ძუძუთი კვების
შესახებ



საქართველოს ზრათის
ჯანსაღობისა და
სოციალური ღაცვის
საინისტრო





წარმოქმნის თუ არა **COVID-19** უფრო მეტ რისკს ორსული ქალებისთვის?

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის მიერ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მასალებზე დაყრდნობით. განახლებული ინფორმაციისთვის, ეწვიეთ ვებგვერდებს:

who.int
unfpa.org
georgia.unfpa.org
moh.gov.ge
stopcov.ge
ncdc.ge

ამჟამად მიმდინარეობს კვლევა იმის დასადგენად, თუ რა ზეგავლენას ახდენს **COVID-19**-ის ინფექცია ორსულ ქალებზე. ჯერჯერობით მწირი მონაცემებია ხელმისაწვდომი; მაგრამ, ამ ეტაპზე არ არსებობს მყარი მტკიცებულება, რომელიც გვაფიქრებინებდა, რომ ორსულები უფრო მეტი რისკის წინაშე იქნებოდნენ, ვიდრე საერთო მოსახლეობა.

თუმცა ცნობილია, რომ ორსული ქალების სხეულსა და იმუნურ სისტემებში მიმდინარე ცვლილებების გამო, ზოგიერთმა რესპირატორულმა ინფექციამ შეიძლება მათზე მძიმედ იმოქმედოს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ორსულმა ქალებმა სიფრთხილის ზომები მიიღონ **COVID-19**-ისგან თავის დასაცავად და შესაძლო სიმპტომების (რაშიც შედის მაღალი ტემპერატურა, ხველება ან გართულებული სუნთქვა) შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინონ ოჯახის ექიმს ან მეან-გინეკოლოგს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ამ ინფორმაციას და რეკომენდაციას კვლავ გადახედავს და განახლებს, როგორც კი უფრო მეტი მტკიცებულება ხელმისაწვდომი გახდება.



ორსულად ვარ. როგორ შემიძლია თავი დავიცვა COVID-19-ისგან?

ორსულმა ქალებმა სიფრთხილის ისეთივე ზომები უნდა მიიღონ COVID-19-ის ინფექციის თავიდან ასაცილებლად, როგორც სხვა ადამიანებმა. საკუთარი თავის დაცვა შემდეგნაირად შეგიძლიათ:

- **ხშირად დაიბანეთ ხელები** სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებით, ან საპნითა და წყლით.
- **დაიცავით დისტანცია** თქვენსა და სხვა ადამიანებს შორის.
- **მოერიდეთ** თვალებზე, ცხვირსა და პირზე ხელით შეხებას.
- **დაიცავით რესპირატორული ჰიგიენა.** ეს ნიშნავს დახველების ან დაცემინების დროს პირის და ცხვირის დაფარვას მოხრილი იდაყვით. გამოყენებული ხელსახოცი დაუყოვნებლივ გადააგდეთ.


თუ გაქვთ სიცხე, გახველებთ ან სუნთქვა გიჭირთ, ადრეულ ეტაპზევე მოითხოვეთ სამედიცინო დახმარება. ჯანდაცვის დაწესებულებაში წასვლამდე ჯერ დარეკეთ და თქვენი ადგილობრივი ჯანდაცვის უწყების მითითებები დაიცავით.

ორსულმა და ახლად ნამშობიარებმა ქალებმა – მათ შორის, COVID-19-ით ინფიცირებულებმაც – თავიანთი რეგულარული საკონსულტაციო ვიზიტები უნდა განახორციელონ.

უნდა შემოწმდნენ თუ არა ორსული ქალები COVID-19-ზე?


ჯანმო-ს რეკომენდაციების თანახმად, COVID-19-ის სიმპტომების მქონე ორსულ ქალებს პრიორიტეტი უნდა მიენიჭოთ ტესტირების თვალსაზრისით. COVID-19-ით ინფიცირების შემთხვევაში, მათ შეიძლება სპეციალიზებული ზრუნვა დასჭირდეთ.





შესაძლოა თუ არა, რომ
COVID-19
დედიდან ნაყოფს ან
ახალშობილს გადაეცეს?

ჩვენ ჯერჯერობით დანამდვილებით არ ვიცით, რამდენად შესაძლებელია **COVID-19**-ით ინფიცირებული ორსული ქალიდან ვირუსის ნაყოფზე ან ბავშვზე გადაცემა ორსულობის ან მშობიარობის დროს. დღემდე, ვირუსი არც სანაყოფე წყლების, არც დედის რძის ნიმუშებში არ აღმოჩენილა.



როგორი სახის ზრუნვა
უნდა იყოს ხელმისაწვდომი
ორსულობის და
მშობიარობის დროს?


ყველა ორსულს, **COVID-19**-ის დადასტურებული ან სავარაუდო დიაგნოზის მქონეს ჩათვლით, უფლება აქვს, რომ მაღალი ხარისხის ზრუნვა მიიღოს ორსულობის დროს, მშობიარობისას და ბავშვის გაჩენის შემდეგ. ამაში შედის ანტენატალური, ახალშობილთა, პოსტნატალური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მომსახურება.

მშობიარობის უსაფრთხო და დადებით გამოცდილებაში მოიაზრება:

- პათივისცემით და ღირსების დაცვით მკურნალობა;
- სასურველი ადამიანის დასწრება მშობიარობისას;
- ნათელი კომუნიკაცია სამშობიაროს/ქალთა კონსულტაციის პერსონალის მხრიდან;
- გაუტკივარების შესაფერისი სტრატეგიები;
- მობილობა სამშობიარო ტკივილების დროს, სადაც შესაძლებელია, და მშობიარობის პოზის შერჩევა.

COVID-19-ის დადასტურებული ან სავარაუდო შემთხვევის არსებობისას, ჯანდაცვის მუშაკებმა სიფრთხილის შესაფერისი ზომები უნდა მიიღონ, რათა საკუთარი თავის და სხვების ინფიცირების რისკები შეამცირონ, დამცავი ტანსაცმლის სათანადოდ გამოყენების ჩათვლით.






COVID-19-ის
დადასტურებული ან
სავარაუდო ინფექციის
მქონე ორსულმა ქალებმა
ბავშვი საკეისრო კვეთით
უნდა გააჩინონ?

არა. ჯანმო-ს რეკომენდაციაა, რომ საკეისრო კვეთები მხოლოდ მაშინ შესრულდეს, როცა ეს სამედიცინო აუცილებლობით არის ნაკარნახევი.

საჭიროა, რომ მშობიარობის ტიპი ინდივიდუალურად შეირჩეს და ეს ქალის არჩევანზე უნდა იყოს დამოკიდებული, სამედიცინო ჩვენებების გათვალისწინებით.




შეიძლება თუ არა, რომ
COVID-19-ის
ინფექციის მქონე ქალებმა
ბავშვი ძუძუთი გამოკვებონ?

დიახ. COVID-19-ის მქონე ქალებს შეუძლიათ ბავშვი ძუძუთი გამოკვებონ, თუ თავად ასე ისურვებენ. ამისათვის საჭიროა:

- **რესპირატორული ჰიგიენის** დაცვა ბავშვის კვების დროს, **ნიღბის ტარება**, სადაც ეს ხელმისაწვდომია;
- ხელების დაბანა ბავშვის შეხებამდე და მასთან კონტაქტის შემდეგ;
- იმ ზედაპირების რეგულარულად გასუფთავება და დეზინფექცია, რასაც შეეხებიან.






შემიძლია თუ არა შევიხო
და ხელში ავიყვანო ჩემი
ახალშობილი,
თუ **COVID-19** მაქვს?

დიახ. ახლო კონტაქტი და ადრეული, ექსკლუზიური ძუძუთი კვება ბავშვს აძლიერებს. თქვენ მხარდაჭერა უნდა მიიღოთ, რათა:

- ბავშვი ძუძუთი უსაფრთხოდ გამოკვებოთ, **რესპირატორული ჰიგიენის კარგად დაცვით;**
- ახალშობილი ისე დაიჭიროთ, რომ კანი-კანთან კონტაქტი გქონდეთ;
- ბავშვთან ერთ ოთახში იყოთ.

აუცილებლად უნდა დაიბანოთ ხელები ბავშვთან შეხებამდე და მასთან კონტაქტის შემდეგ, ასევე, ყველა ზედაპირი მუდმივად უნდა გაასუფთაოთ.



მე **COVID-19** მაქვს და
ძალიან ცუდად ვგრძნობ
თავს იმისთვის, რომ
ბავშვი ძუძუთი პირდაპირ
გამოვკვებო. რა უნდა ვქნა?

თუ თქვენ **COVID-19**-ის ან სხვა გართულებების გამო ცუდად გრძნობთ თავს იმისთვის, რომ ბავშვი ძუძუთი გამოკვებოთ, მაშინ თქვენ დახმარება უნდა გაგიწიონ ბავშვისთვის დედის რძის უსაფრთხოდ მიწოდების მიზნით, შესაძლო, ხელმისაწვდომი და თქვენთვის მისაღები გზით. ამისთვის რამდენიმე ვარიანტი არსებობს:

- რძის გამოწველა;
- ძუძუთი კვების შეწყვეტა და შემდეგ გაგრძელება (რელაქტაცია);
- დონორი ქალის რძით გამოკვება.



